საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლ.დავითაშვილს

შპს „ირაგა"-ს

ს/კ 405 318 534

დირექტორის ალექსანდრე ოქროპირიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ირაგა"-ს ს/კ (405 318 534) განსახილველად და შესაბამისი დასკვნის გასაცემად წარმოდგენილი აქვს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯიგრაშენის ტერიტორიაზე აპირებს, წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის სკრინინგის ანგარიში.

საწარმო გათვლილია წელიწადში 8000$მ^2$ ქვის ფილის, 8000$მ^2$ ქვაფენილის, 3000 მ ბორდიურის წარმოებაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ:

- ყოველწლიურად, ნედლეულის სახით საწარმო გამოიყენებს 930$მ^3$ / წლ. ქვის ბლოკს;
- ქვის დამუშავებისას გამოყენებულია წყალმომარაგების წრიული სისტემა. ნამუშავარი წყალი თვითდენით ჩაედინება სამსაფეხურიან სალექარში, საიდანაც ტუმბოს მეშვეობით უკანვე მიეწოდება მუშა მდგომარეობაში მყოფ დანადგარებს. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის ჩაშვება გარემოში არასდროს არ ხდება. წყალი იხარჯება მხოლოდ მუშაობის პროცესში აორთქლებული მასისა და სალექარების ლამისაგან გაწმენდის შემდგომ დარჩენილი სიცარიელის შესავსებად;
- საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის ჩაშვება განხორციელდება ბეტონირებულ ორმოში, საიდანაც პერიოდულად გაიტანება ასინიზაციის მანქანებით.

ღრმა პატივისცემით: ა.ოქროპირიძე ა. ოქროპირიძე

№ 16826
27.10.2020
1 ფ.